საკანონმდებლო მაცნე

იანვარი 2026
[NO.1] www.bdo.ge

შინაარსი

- თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების შესახებ
- პიროტექნიკურ ნაწარმზე ზედნადების შევსების შესახებ

ცვლილება ბრძანებაში

თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების შესახებ

2025 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №341, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, დამტკიცდა შესაბამისი პროცედურები თამბაქოს ზოგიერთ ნაწარმზე აქციზის გამოანგარიშების მიზნით.

ცვლილება შეეხო №996 ბრძანების 112-ე გარდამავალი მუხლის 78-ე - 80-ე პუნქტებს. შედეგად, 2026 წლისათვის, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით, სეს ესნ 2402 20 კოდში მითითებული სიგარეტების მწარმოებელი/იმპორტიორი უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია მის მიერ წარმოებული/იმპორტირებული საქონლის დასახელების/ქვედასახელების და თითოეული მათგანის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ არაუგვიანეს 2025 წლის 29 დეკემბრისა. თავის მხრივ, შემოსავლების სამსახური ვალდებულია ზემოთ ხსენებული ინფორმაცია სეს ესნ 2402 20 კოდში მითითებული სიგარეტების, აგრეთვე სეს ესნ 2404 11 000 00 და 2402 10 000 02 კოდებში მითითებული საქონლის შესახებ წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრისა. განახლებული 80-ე პუნქტის თანახმად კი, წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით მოხდება საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენა და აღნიშნული ფასის გამოყენება მოხდება ერთი წლის განმავლობაში.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 30 დეკემბრიდან.

პიროტექნიკურ ნაწარმზე ზედნადების შევსების შესახებ

2025 წლის 22 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №328, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა პიროტექნიკურ ნაწარმზე ზედნადების შევსების წესი.

ცვლილების თანახმად, განახლდა №996 ბრძანების 25^1-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით სასაქონლო ზედნადების შევსებისას ისეთ პიროტექნიკურ ნაწარმზე, რომელთა რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ ლიცენზიით, (გარდა F1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელიც არ არის ასაფეთქებელი სახის (მათ შორის, ბენგალური სანთელი, შუშხუნა და სხვა), ასევე, P1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია

ლიცენზიის გარეშე), ზედნადების მე-4 და მე-5 სტრიქონებში ჩაიწერება მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის ან/და რეალიზაციის ლიცენზიის მქონე პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი. განხორციელებული ცვლილებით, ამავე მუხლს ასევე დაემატა ახალი მე-13[1] პუნქტი, რომელიც გულისხმობს, რომ ზემოთ ხსენებულ პიროტექნიკურ ნაწარმზე დასაშვებია ზედნადების შევსება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. ამასთან, პირი ვალდებულია აღნიშნულ ზედნადებში პროგრამულად მონიშნოს ველი - „პიროტექნიკური ნაწარმი“.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 21 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს ბრძანებებში თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების და პიროტექნიკურ ნაწარმზე ზედნადების შევსების შესახებ.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge
▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.